



საქართველოს მთავრობის განკარგულება

№431 2013 წლის 17 მაისი ქ. თბილისი

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 2 მაისის N407 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 2 მაისის N407 განკარგულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. განკარგულების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის წყალტუბო-ხონის საავტომობილო გზის რეაბილიტაციისათვის – 4 346 000 (ოთხი მილიონ სამასორმოცდაექვსი ათასი) ლარი;“.

2. განკარგულების პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბათუმი (ანგისა)-ახალციხის საავტომობილო გზის ზარზმა-ადიგენის მონაკვეთის რეაბილიტაციისათვის – 2 458 000 (ორი მილიონ ოთხას ორმოცდათვრამეტი ათასი) ლარი;“.

3. განკარგულების პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) ჯვარი (ჯვარზენი)-ჩქვალერი-საჩინოს საავტომობილო გზის რეაბილიტაციისა და მასთან დაკავშირებული საპროექტო მომსახურების შესყიდვისათვის – 2 013 000 (ორი მილიონ ცამეტი ათასი) ლარი;“.

4. განკარგულების პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) ამ პუნქტის „ა“-„დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ობიექტების საზედამხედველო მომსახურების ხარჯებისათვის – 170 250 (ას სამოცდაათი ათას ორას ორმოცდაათი) ლარი;“.

პრემიერ-მინისტრი

კ. ივანიშვილი



ბიძინა ივანიშვილი